სამშაბათი, 18 სექტემ. 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 203

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დოლი 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ტელეგ. ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

✦ ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა ✦

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შეუდგა

## ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა გამოცემას სახალხოდ.

ყოველი თხზულება დაიბეჭდება ცალ-ცალკე წიგნაკად ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკაში მოთავსდება:

1. რჩეული ლექსები
2. კაკო ყაჩაღი.
3. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?—ბედნიერი ერი.
4. აჩრდილი.
5. დედა და შვილი.
6. განდეგილი.
7. დიმიტრი თავდადებული.
8. კაცია ადამიანი.
9. გლახის ნაამბობი.
10. ოთარაანთ ქვრივი.
11. მგზავრის წერილები.
12. გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები.
13. სარჩობელაზე.
14. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.

შემდეგში დაიბეჭდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები.
(3—უ.—1)

კავკასიის ოლქის სამთამადნო სამმართველოს

## უფროსის თანაშემწე

დ. ს. ს. მ. ი. ჩენგერი ამით აცხადებს, რომ იმის თავმჯდომარეობით, თანახმად ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის განკარგულებისა, 27 სექტემბერს 1907 წელს ქუთაისში

შესდგება მეათე |საგანგებო| კრება

მარგანეცის მრეწველთა

შემდეგ საკითხების განსახილველად:

1. არჩევა საბჭოს თავმჯდომარისა.
2. უზრუნველყოფა ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა ფულით ან ბინით, კანტორის გადატანის გამო ქუთაისიდან ჭიათურაში, და გადადება ფულისა კანტორის გადასატანად ქუთაისიდან.
3. უპირატესობა, რომელიც მისცა გზათა სამინისტრომ ზოგიერთ ფირმებს სხვათა საზარალოდ მარგანეცის გაზიდვის საქმეში.
4. რკინის გზის ტოტების გაყვანა. (3—ნ.—1)

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ საერთო ადგილობრივ მკვიდრთა კურიის კრება ქალ. ტფილისისა, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ქალაქის ამომრჩევთათვის დანიშნულია 27 სექტემბრისათვის, ხოლო რუსულ კურიისა—30 სექტემბრისათვის.

არჩევნები მოხდება: კრების პირველ განყოფილებისა (1, 2 და 10 საპოლიციო ნაწილები ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამომრჩევთა)—ზუბალაშვილის სახელის სახალხო სახლში; მეორე განყოფილებისა (3, 4, 5 და 9 საპ. ნაწილები)—ქალაქის გამგეობის სადგომში; მესამე განყოფილებისა (6, 7 და 8 საპ. ნაწილი ტფილისსა და ტფ. მაზრა)—ვარშამოვის თეატრში (ავლაბარს); რუსულ კურიისა—ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის ძალით, საარჩევნო ბარათი წარმოადგენს ფურცელს ან ნახევარ ფურცელს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი კაცი უნდა იქნეს არჩეული) თეთრის ქაღალდისას და უნდა შედგენილი იქნას რუსულ ენაზე. საარჩევნო ბარათში აღნიშნული უნდა იყოს როგორც გვარი, სახელი და მამის სახელი ასარჩევ კაცისა, ისე წოდება და საცხოვრებელი ადგილი ან ნომერი, რომლითაც იგი აღნიშნულია სიაში. ბარათში არ უნდა იყოს არავითარი სხვა რამ ნიშანი, აგრეთვე შესწორება და წაშლილ-ამოფხეკილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათი გაბათილებულ იქნება. ზემოხსენებული ცნობები ასარჩევ კაცის შესახებ შეიძლება დაიწეროს, დაიბეჭდოს, როგორც ამომრჩეველსა სურს.

საარჩევნო ბარათები ამომრჩეველმა უნდა შეადგინოს ან წინ და წინ ან საარჩევნო კამისიის სადგომში. ბარათები უნდა ჩაიდოს კონვერტებში, რომელსაც ქალაქის გამგეობა დაჰგზავნის. თითო კონვერტში უნდა ჩაიდოს მხოლოდ თითო საარჩევნო ბარათი. (3—6.—2)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (63)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიული
ავადმყოფებს იღებს ყოველდღე შუადღის 12—1-მდე საღამოთი 6—8-დე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14

ექიმი
**ი. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, ნიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს ბუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—12)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთაისში
კბილის ექიმი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—10)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—178)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—11)

ექიმი
**ივ. გომართელი**
პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—6)

ცფ. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური ბიურო „სარდაფების მუშათა პროფესიონალურ კავშირთან“ შეთანხმებით ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეიდან „კახეთის“ საზოგადოებას
**ბოიკოტი მოეხსნა**
(2—6.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ბაგდასაცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ახპიხოვი**.—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოხელიბანიზა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ზოძოვსკი**—შინ. გიპნოტ. ყოველდღე 4—5 ს.
**გორბალევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. სიფილ. ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**პივარსკი**— / **ჩუდნოვსკი**— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—34)

კბილის ექიმი
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—2)

**იბეჭდება** და მალე დარიგდება გასასყიდად **ახალი დასურათებული გამოცემა** «ბაქოს ქართ. ამხ. „განათლება“, შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ:

## ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა

(კრებული იმ ნარჩევ წერილებისა, დეპეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულა მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჯერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верійскій спускъ д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში,—ს. ფირცხალავას.

ვთხოვთ ეგრეთვე იმ პირთ, რომელთა უკვე წარმოთქმული სიტყვები ჯერ არ დაბეჭდილა გაზეთებში, მოგვაწოდონ ამ კრებულში მოსათავსებლად. (8—6.—5)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

## „ნ დ ო ბ ა მ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდაღოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი. (20—6.—5)

## სკოლა

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—8)

საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ ტფ. საზოგადოებას, რომ გავლით ამ ქალაქში დავრჩი სულ ცოტა ხანა „ვერსალის“ სასტუმროში, № № 5 და 6.

## მისანი
(მარჩიელი)

ანასტასია იურიევის ასული კონსტანტინიდი შეუცდომლად ცნობილობს ხელის გულზე კაცის ყოველივე წარსულს, აწმყოს და მომავალს. **რჩევის ფასი 1 მან. და მოსწავლეთათვის 50 კაპ.** ვღებულობ დილის 9 საათ. შუადღის 1 ს-მდე და 3 საათ. 6 ს-მდე. (5—520—2)

ქუთაისის სამეურნეო სკოლის პედაგოგიური

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასში უკვე გათავდა, ხოლო პირველ კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 24 ენკენისთვეს. (2—კვ.—2)

**მაქვს პატივი ვაუწყო პატ. საზოგადოებას, რომ ქ. ბათუმში 1-ლი სექტემბრიდან დავაარსე** სამკერვალო სასწავლებელი,

რომელიც იმყოფება მარინის პროსპექტზე მინოვიჩის სახლში, № 40, ვიღებ მოწაფეებს არა ნაკლებ 13 წლისა და ვასწავლი ჭრას პარიზის მეთოდით ტე-დორზე. და აგრეთვე ყოველგვარ ხელსაქმეს, რომელსაც ვახდევინებ თვეში 5 მ. ამასთან ვიღებ და ვამზადებ ყოველნაირ საქმეს ქალთა ტანისამოსისას პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მომდის სხვა და სხვა საუკეთესო ჟურნალი.
(2—6.—1) პატ. პ. გ. აბაშიძე.

## ტფილისი, 18 ენკენისთვე.

წინად, ყოველ სამოსწავლო წლის დასაწყისს, სამწუხარო და სავალალო საქმე იყო საშუალო სასწავლებელთა სიმცირე. მრავალი მოზარდი თაობა რუსეთის ყოველ ქალაქში სასწავლებელს გარეშე რჩებოდა, რადგან არსებული სკოლები ყველა მსურველთ ვერ იტევდნენ. ახლა, უკანასკნელ წლებში, ამას დაერთო ახალი უბედურებაც: რუსეთში არსებული უნივერსიტეტებიც აივსო და ახალგაზდობა იქაც ველარ პოულობს ადგილს. ამ ჟამად, მაგალითად, მრავალი ასი ახალგაზდა უნივერსიტეტს გარეშე დარჩა.

მეტია იმის განმარტება, თუ რამდენად უმზგავსო და ანორმალურია ასეთი მოვლენა! ყოველისფრით და ყოველმხრით ჩამორჩენილს რუსეთში თითქმის ერთად ერთი სანუგეშო გარემოება ისაა, რომ წლითი-წლით იზრდება ხალხსა და საზოგადოებაში სწავლა-განათლების წყურვილი; მაგრამ ამის დასაკმაყოფილებლად არა თუ არავითარ ღონეს არ იღებს ვისიც ჯერ არს, არ მედ ყოველგვარ დაბრკოლებასაც უჩენს. ავიღოთ, მაგალითად, საუნივერსიტეტო საკითხი მხოლოდ რაოდენობის მხრით.

რუსეთის იმპერიაში (ფინლიანდიის გარდა) სულ ცხრა უნივერსიტეტია 160 მილიონ მცხოვრებზე; თითო უნივერსიტეტი მოდის თითქმის 18 მილიონ მცხოვრებზე. შეადარეთ ამ მდგომარეობას დასავლეთ ევროპის, რომელიც გინდათ, სახელმწიფოს მდგომარეობა. გერმანიაში 21 უნივერსიტეტია, ე. ი. თითო სასწავლებელი 3 მილიონ მცხოვრებზე; ავსტრ-უნგრეთში 11 უნივერსიტეტია, ე. ი. თითო სასწავლებელი ყოველ 4½ მილიონ მცხოვრებზე; პატარა შვეიცარიაში 7 უნივერსიტეტია, რაც შეადგენს თითქმის ორ უნივერსიტეტს ყოველ მილიონ მცხოვრებზე!.. იტყვიან, რუსეთში იმდენი საჭიროება არაა მაღალ სწავლაში, როგორც შვეიცარიაშიაო. თავი დავანებოთ შვეიცარიას და შევჩერდეთ მარტო ავსტრ-უნგრეთზე. ეს სახელმწიფო ბევრით მაღლა არ სდგას რუსეთზე კულტურის განვითარების მხრით, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ოთხჯერ მეტი უნივერსიტეტი აქვს... რუსეთში კარგა ხანია ნაგრძნობია ეს სიმცირე მაღალ სასწავლებლებისა, კარგა ხანია დაიბადა საჭიროება, მაგრამ იმის წყალობით, რომ ბიუროკრატია ტქვის თვალითა და თითქმის სიძულვილით ეკიდება მაღალ სწავლის ტაძარს, ახალ უნივერსიტეტის გახსნა არ აღირსეს ქვეყანას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ისეთ დიდ განაპირა მხარეს, როგორიც კავკასია არის, არ იქმნა და არ მისცეს მაღალ სასწავლებლის დაარსების ნება...

მთავრობის უნივერსიტეტისადმი განწყობილების დასახასიათებლად საუცხოვო ფაქტებს ვარშავის უნივერსიტეტის გადატანის ამბავი გვაძლევს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ პოლონეთის საზოგადოებამ ბოიკოტი გამოუცხადა ვარშავის უნივერსიტეტს: პოლონეთში პოლონური უნივერსიტეტი უნდა იყოსო; ამის გამო ვარშავის უნივერსიტეტი ძალა-უნებურად გაუქმდა, ასე რომ ამ ჟამად რუსეთში 9 კი არა, რვა უნივერსიტეტი-ღა მუშაობს. რადგან მთავრობა პოლონელებს არ უთმობს, განზრახვა დაიბადა ვარშავის მაგიერ უნივერსიტეტი სარატოვში გაიხსნას ან დროებით, სანამ ვარშავის საკითხი გადაწყდება, ან სამუდამოთ, თუ „გარემოებამ ხელი შეუწყო“. ზაფხულში ეს საქმე თითქმის კიდეც გადაწყდა და საჭირო მზადებასაც შეუდგნენ სარატოვში უნივერსიტეტის გახსნისათვის. მაგრამ მოაწია შემოდგომამ და უეცრად საქმე შეფერხდა: მთავრობას გაახსენდა, რომ რუსეთში ახლა კონსტიტუცია არსებობს, და დაადგინა: ახალ უნივერსიტეტის გახსნა სათათბიროს დაუკითხავად არ შეიძლებაო. კომიზმი ამაზედ შორს ველარ წავა. მთავრობა, რომელიც თვით ძირითად კანონებს სცვლის ერთის კალმის მოსმით, რომელიც ამ კანონების მე-87 მუხლის ძალით სამხედრო-საველე სასამართლოებს აარსებს და დიად სოციალურ რეფორმას (აგრარულს) ახდენს, სათათბიროსადმი და კონსტიტუციისადმი პატივისცემით იმსჭვალება, როცა უნივერსიტეტის გადატანაზე მივარდა საქმე! ეს საბუთი იმდენად სასაცილო და არა სერიოზული იყო, რომ ბოლოს თვით სამინისტრომ იგრძნო უხერხულობა და დაადგინა კვლავ იქონიოს მსჯელობა სარატოვში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მაგრამ დრო მიდის, საცაა სათათბიროც შეიკრიბება და მთავრობა, კონსტიტუციის დარღვევის შიშით (sic), ყოყმანობს. ამასობაში-კი მრავალი ასი ახალგაზდობა, რომელთაგან ნახევარი მაინც შეაფარებდა თავს სარატოვის უნივერსიტეტში, იძულებულია თავი დაანებოს მაღალ სწავლის მიღებაზე ოცნებას...

ასეთმა მთავრობამ უნდა განაახლოს რუსეთი?..

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

რედაქციას მოუვიდა კიდევ შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები და წერილები ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო:

**დეპეშები**: თეირანიდან საქართველოდან გარდახვეწილ და თეირანში მყოფ ფერეიდანელ ქართველების მონდობილობით მენაბდესაგან. ტომსკის ქართველ სტუდენტების მონდ-ბით მოსიძე და ჩხეიძესაგან.

**წერილები**: სოფ. ერთაწმინდის (ქართლში) მცხოვრებთა მონდ-ბით ვანო ჟამუტაშვილი, სოფ. ავლევის (ქართ.) მრევლის მონდობილობით მღვდელი ზაქარია ხვადაგიძე, სოფელ საბუეს (ქართლი), მცხოვრებ ჳა მონდ—ით მიხა ოსიაშვილი. ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის მრევლის მინდ—ით მღ. გაბრ. ჯიქია, ქვედა დიმის საზოგადოების მინდ—ით თ. გეგეშიძე, ოზურგეთელ ქართველ ქალთა ჯგუფისგან, ილარიონ გამყრელიძისგან, ტრაპეზუნდიდან და სხ. **პანაშვიდები** გადაუხდიათ: ქალაქ კოსნოს საკრებულო ტაძარში ეპისკ. კირიონის მწირველობით, ს. ქვემო დიმში, ილია ჭავჭავაძის კარის

მკლესიაში ყვარელში, სოფ. საბუეში, ს. ალევში, ცეროვნისში, ერთაწმინდაში და სხვა.

გარდა ამისა რედაქციას დღესაც აუარებელი სამგლოვიარო კერძო წერილები, სტატიები და ლექსები მოსდის.

## ეროვნული საკითხი გერმან. სოც. დემ. კრებაზე.

გერმანიის სოც. დემოკრატიულ პარტიის კრებაზე ესენში დიდი კამათი გამოიწვია სოც. დემ. საპარლამენტო ფრაქციის ანგარიშის განხილვამ. ამ სიკითხმა გამოიწვია მეორე საკითხი: თუ როგორ უნდა უცქეროდეს სოც. დემოკ. პარტია პატრიოტიზმს. კრებამ საკამათო მასალად გამოიყენა სოც. დემოკრატ დეპუტატის ნოსკეს სიტყვა ამ საგანზე, რომელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს. მან განაცხადა, რომ ომის დროს სოც. დემოკრატია იარაღით დაიცავს თავის სამშობლოსაო (რამდენიმე წლის წინათ ბებელმაც იგივე სთქვა). ნოსკე ამტკიცებდა, რომ მან მხოლოდ გაიმეორა ის, რაც კრებაზე ათას სოც. დემ. ორატორს უთქვამს, რაც პარტიის ოფიციალურ გამოცემებშიაც მოიძებნება, მაგალითად, სოც. დემოკ. ამომრჩეველთა სახელმძღვანელოში. ნოსკეს მრავალი მიემხრო, მაგრამ მრავალი წინააღმდეგიც იყო. საყურადღებოა მხოლოდ აზრი კაუცკისა, ბებელისა და ფოლმარისა. დანარჩენი ორატორები ან ერთს მათგანს უჭერდნენ მხარს, ან მეორეს. ბებელმა სთქვა „ნოსკეს სიტყვის საწინააღმდეგო საპარლამენტო ფრაქციაში არავის არაფერი უთქვამს. ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს იმიტომ კი არა, რომ გვსურდეს კაპიტალისტთა სამშობლოს დაცვა, არამედ იმიტომ, რომ ის არის ჩვენი სამშობლო, იმიტომ რომ იმ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვავიბადეთ, იმ ტერიტორიაზე, სადაც აღვიზარდეთ და იმ ენის დახმარებით, რომლითაც ვლაპარაკობთ—მთელ ქვეყანაზე უმშვენიერესი და საუკეთესო სახელმწიფო უნდა შევქმნათ“. კაუცკი ბებელს არ ეთანხმება: „გერმანიის ს.-დემოკრატიულ პარტიას საფუძვლად უნდა დაედოს ჯერ ინტერნაციონალური მოსაზრება და შემდეგ ეროვნული. ის უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა პროლეტარული პარტია. გერმანული პროლეტარები უნდა შეეთანხმდნენ საფრანგეთის პროლეტარებს და არა გერმანიის რეაქციონერებს „ფოლმარი მტკიცედ გამოესარჩლა ნოსკეს და ჯერ განაცხადა, რომ ის სიამოვნებით გაიმეორებს იმას, რაც ნოსკემ განაცხადა პარლამენტში, და მერე გაილაშქრა ლიბკნეხტის ანტი-მილიტარიზმის წინააღმდეგ. „გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტია,—სთქვა ფოლმარმა—ყოველთვის ებრძოდა ანტიმილიტარიზმს“, მაგრამ ის ებრძოდა ცარიელი სიტყვებით კი არა, არამედ ახალგაზრდობის შეგნების გაფართოვებით; სოც. დემ. პარტია უნერგავდა მას თავის მსოფლიო მხედველობასა და კულტურულ იდეალებს და აგონებდა, რომ ისინი სამხედრო მუნდირშიაც უნდა მოქალაქენი იყვნენ და არ მონები. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი გავლენა და პოლიტიკური ძალა. მისი ზრდა ნიშნავს ანტიმილიტარიზმის ზრდას, ხოლო მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იმგვარ აგიტაციით, როგორც ეწევა ლიბკნეხტი, ჩვენთვის სახეირო არ არის, ამიტომ უარი უნდა ვთქვათ ამგვარ იარაღით ბრძოლაზე“.

კრებამ დიდი ხმის უმეტესობით უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ ნოსკე გაიკიცხოსო, და მოიწონა მისი სიტყვა და დახასიათება პატრიოტიზმისა სოც.-დემოკრატიულ პარტიის თვალ-საზრისით.

## არჩევნები

**ახალ სენაკი**. 10 ენკენისთვეს ასამდე წვრილმა მემამულემ მოიყარა თავი სენაკში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ას კაცში თერთმეტი იყო შეტანილი და ხმის უფლებაც ამათ მიეცათ. სიები არჩევნების დღემდე თვალით არავის უნახავს. როცა მოსულთ გადასახადის რაოდენობა გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ მათ ერთის რწმუნებულის არჩევა შეეძლოთ. შეუდგნენ არჩევანს და ერთი ს. დ. აირჩიეს.

რათა მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს იმისი, თუ რამდენად შემცირდა ამომრჩეველთა რიცხვი ივნისის კანონის ძალით, აღვნიშნავთ, რომ წინა არჩევნებში წვრილ მემამულეთა რიცხვი 4000 კაცს აღემატებოდა, მიმდინარე არჩევნების სიაში კი ათას-ოთხასი კაცი არც კია შეტანილი. **დროებით სენაკელი.**

**ბაღდადი**. 13 ენკენისთვეს მოხდა წვრილ მემამულეთა კრება რწმუნებულების ასარჩევად. ბაღდადს, საზოგადოდ, სათათბიროს არჩევნებში ბედი არა ჰქონდა და ვერც ერთხელ ვერ მოთავდა აქ არჩევნები უმთავრესად იმისთვის, რომ ბევრი ხალხი იკრიბებოდა და თავმჯდომარეები საქმეს თავს ვერ ართმევდნენ. ეხლანდელი კრება დიდად განირჩეოდა წინანდელისაგან. შეიკრიბა სულ სამოციოდე კაცი, ისიც შემთხვევით მოსული ამ დღეს ბაღდადში. ს. დ. თუმცა გასწიეს აგიტაცია, მაგრამ ხალხი მაინც ვერ მოიყვანეს. ქუთ. მაზრის მარშალმა შეკრებილთ აუწყა, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ 8 რწმუნებული. დაასახელეს 19 კაცი. ს. დ. ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო კანდიდატები გააშავეს და აირჩიეს პარტიის გარეშე მყოფნი. მათ შორის თითო ოროლა მემარცხენენი არიან წინადვე თქმა იმისი, ვის კანდიდატს დაუჭერენ მხარს საგუბერნიო არჩევნებში, ძნელია. ს. დ. მეტად დაღონებულნი წამოვიდნენ. არჩევნების დროს საარჩევნო დარბაზს არ მოჰშორებიან ბოქაული და შეიარაღებული სტრაჟნიკი. **ფერსათელი.**

**ჩხარი**. წვრილ მემამულეთა კრებაზე 10 ენკენისთვეს ისე ცოტა ხალხი გამოცხადდა რწმუნებულების ასარჩევად, რომ მხოლოდ სამი კაცი ჰხვდად ასარჩევად. სამ კაცში ერთი ს.-დ.-იც, ხოლო ორი მემარცხენე.

**ქუთაისი**. 22 ამ თვეს ქუთაისმა უნდა აირჩიოს სამი ამომრჩეველი, ხოლო 24 სექტემბერს რუსთა კურიის კრება მოხდება. რამდენადაც ჩვენ ვიცით, კანდიდატები ჯერ-ჯერობით დასახელებულნი არ არიან.

15 ენკენისთვეს ქუთაისის ქალაქის თეატრში მოხდა ქუთაისის წვრილ მემამულეთა კრება სამაზრო არჩევნებისთვის რწმუნებულების ასარჩევად. ჯერ რვა თვე არ არის მას აქეთ, რაც ამავე თეატრში მოხდა წვრილ მემამულეთა არჩევნები, როდესაც 1400 კაცზე მეტი შეიკრიბა. ამ რვა თვეში საშინლად ასცრუებია ხალხს გული არჩევნებზე. ეხლანდელ კრებას დაესწრო სულ 46 კაცი, რომელთაც უნდა აერჩიათ 5 რწმუნებული. საარჩევნო კანონის შეცვლამ, რაღა ლაპარაკი უნდა, თავისი გავლენა იქონია ამომრჩეველთა რიცხვის შემცირებაზე, მაგრამ ხალხის დაქანცვამ უფრო მეტი გავლენა იქონია მიმდინარე არჩევნებზე და მიუხედავად დიდ ცდისა ს. დ. მხრით, არჩევნებს აღარავინ ეკარება. ქუთაისის კრებაზე ს. დ. და მათ მოწინააღმდეგეთა ძალები ერთნაირნი იყვნენ და პირველ არჩევნებზე ხუთი რწმუნებულის მაგივრად არჩეულ იქმნა ერთი მოსოციალ-დემოკრატე კანდიდატი და ორი თავადაზნაურთა მომხრე. დანარჩენი 13 კაცი გააშავეს. მეორე კენჭის ყრაზე ორი ს. დ. აირჩიეს. მიზეზი ამისი ის იყო, რომ ს. დ. ვიდრე კენჭის ყრა არ გათავდა, არსად წასულან, მათი მოწინააღმდეგენი-კი, გათავდა თუ არა პირველი კენჭის ყრა, აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ.

**რაჭა**. რაჭის მაზრაში წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს სამი რწმუნებული, სამივე ს.-დ. რაჭის მაზრაში მსხვილ მემამულეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ შესაძლებელია ამ სამმა რწმუნებულმა გაიტანოს ლელო.

**საჩხერე**. საჩხერეში წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს ოთხი რწმუნებული და მათ შორის პოეტი აკაკი წერეთელი.

## ხოლერა

**პენზა**. ავად გახდა ერთი კაცი, სამარის გუბერნიიდან მოსული.

**სარატოვი**. ავად გახდა ორი, გარდაიცვალა—1, მაზრებში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 10.

**ომსკი**. ავად გახდა 15, გარდაიცვალა 11.

**ნიჟნი ნოვგოროდი**. ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1.

**ტობოლსკი**. ტიუკალინის მაზრის სოფ. ნეკრასოვკაში გაჩნდა ხოლერა; ავად გახდა 3 კაცი, გარდაიცვალა 1.

**ორენბურგი**. ჩელიაბინსკში ავად გახდა სამარიდან მოსული ერთი კაცი.

**სემიპალატინსკი**. სამ დღეში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1.

**სიმბირსკი**. გუბერნიაში ავად გახდა 15, გაირდაიცვალა 9.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1. გუბერნიაში სენის დაწყებიდან ავად გახდა 374, გარდაიცვალა 171.

**სარატოვი**. 14 სექტემბერს ავად გახდა 1, მაზრაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 3.

**სამარა**. ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში სენის დაწყებიდან ავად გახდა 404, გარდაიცვალა 215.

**ომსკი**. ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6, სადგურ ომსკზე ავად გახდა ერთი გადმოსახლებული.

**ტომსკი**. ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 9.

ნავთსადგურ კამენში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2.

## ახალი ამბავი

✦ **ილია ჭავჭავაძის სახსოვრად.** კახეთიდან გვწერენ: ყვარლის საზოგადოებამ გადასწყვიტა ილიას სოფელ ყვარელში განსვენებულ მგოსანს ძეგლი დაუდგას და იქაურ ბიბლიოთეკას ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა დაერქვას.

თელავიდან გვატყობინებენ, რომ თელავის ქალებს გადაუწყვეტიათ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დაარსონ სტიპენდია ილია ჭავჭავაძის სახელზე

✦ **ილია ჭავჭავაძის მოურავის დაპატიმრება.** როგორც „კავკაზს“ დუშეთიდან ატყობინებენ, ამ დღეებში დაუპატიმრებიათ ილია ჭავჭავაძის მოურავი დიმიტრი ჯაში.

✦ **სამხედრო წესები ზაქათალის გუბერნიაში.** უმაღლესის ბრძანებით, სამხედრო წესები ზაქათალის ოლქშიაც შემოიღეს.

✦ **ქალთა დადგენილება.** ქართველ ქალთა საზოგადო კრებამ, ქ-ნ დემურიას თავმჯდომარეობით, კვირას, 16 სექტემბერს, განაგრძო სხდომა იმ საკითხის დასამთავრებლად, თუ ქალთა საზოგადოებამ რით აღნიშნოს ილია ჭავჭავაძის ხსოვნა. კრებამ ღამის 11 საათამდე გასტანა. კრებამ დაადგინა, შეადგინონ ქალთა წრე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ილიას სახელობის ფონდის გაძლიერებას; დააწესოს ჯერ-ჯერობით ერთი სტიპენდია უმაღლეს სასწავლებელში ილია ჭავჭავაძის სახელობაზე. არჩეულ იქმნა დროებითი კომისია, რომელიც შეიმუშავებს გეგმას საფონდო წრის დასაარსებლად, გამოიკითხავს აგრეთვე იმას, თუ რა დანიშნულება მიეცემა ფონდს, გაიგებს, ქალთა წრიდან შესაძლებელი იქნება თუ არა წარმომადგენლების დანიშვნა საფონდო კომიტეტში და სხვა.

✦ „**წ. კ. საზოგადოების“ გამგეობი**

# ფელეტონი

## ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

(შემდეგი*)

„გლახის ნაამბობ“-ში დახატულია ის, თუ რა გამრყვნელი გავლენა ჰქონდა ბატონ-ყმობას მებატონეზედ, როგორ ამხეცებდა იგი ბუნებით კარგ ადამიანსაც-კი, ხოლო „კაცია-ადამიან“-ში ვხედავთ მზა სურათს ამნაირ დამახინჯებულ ადამიანისას. ლუარსაბი და დარეჯანი მთელ თავიანთ სიცოცხლეს მხოლოდ სმა-ჭამაზე ფიქრობენ, სულ იმაში არიან გართულნი, ხვალ რა გაკეთდეს—ბოზბაში თუ ჩიხირთმა. ამაზე ისეთი კამათი აქვთ, რომ ჩხუბიც კი მოსდის სხვაფრივ თანხმად მცხოვრებ ცოლ-ქმარს. ერთი სადარდელი კიდევ აქვთ: შვილი არ მიეცა დარეჯანს. ბევრ მკითხავს მიჰმართეს, ბევრს ადგილას ილოცეს, მაგრამ არამ უშველათ. შვილი კი უფრო იმიტომ უნდათ, რომ ლუარსაბის მამული და სახლკარი არ დარჩეს იმის შურიან ძმას დავითს. ლუარსაბს იქამდის აქვს ეს სურვილი ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ სულ იმასა ჰხედავს სიზმარში, როგორ ეყოლა შვილი და იმის ძმას დავითს როგორ დაუდგა თვალი. ნამეტანის სიხარულით ისე ახტა მძინარე ლუარსაბი, რომ ტახტიდან გადმოვარდა და იატაკზედ დაეცა. გამოჩნდა ვიღაცა ახალი მკითხავი, რომელიც დაჰპირდა, უეჭველად შვილი ეყოლება დარეჯანსაო. დააყენეს ის კუდიანი დედა-კაცი საწამლებლად. სასაცილოა ის სცენა, სადაც ცოლ-ქმარი გაფაციცებით და თან მოკრძალებით თავს ევლებიან დედაკაცს, როდესაც იგი ატყუებთ. ყველა ეს ადგილი კაცმა თვითონ უნდა გადიკითხოს, რომ მიჰხვდეს, თუ რა ჯურის ხალხის შექმნა შეუძლიან ისეთ პირობებს, როგორშიაც ლუარსაბი სცხოვრობდა. რადა ღირს მარტო ერთი აღწერილობა ლუარსაბის სახლ-კარისა, იმის მოსამსახურეების, რაიცა მოწმობს ადამიანში ადამიანობის გახრწნას?! ეს სურათები საუცხოვოა და ჩვენს მწერლობაში სხვა ამ გვარი არ მოიპოვება.

ბევრსა ჰგონია, ვითომ ჭავჭავაძე ამ თხზულებაში ჰბაძავს გოგოლს (Старосвѣтскіе помѣщики). შემცდარი აზრია, წამოსროლილი ალ. ხახანაშვილის მიერ მარტო იმიტომ, რომ ორივე მოთხრობაში აწერილია ზოგიერთი ანალოგიური მოვლენა. განა ის კილო, რომლითაც ასურათებს გოგოლი თავის დედაბრებს, ჰგავს რითიმე ილიას კილოს? არაფრით. გოგოლი მარტო ღიმილით, ისიც შემბრალებელის ღიმილით ახასიათებს მოხუც მემამულეებს და თან იძახის, რომ ამათთანა კეთილის გულის ადამიანები არ მოიპოვებიანო. ჩვენი მგოსანი კი თავის გმირებში არაფერს კეთილს არა ჰხედავს. გოგოლი დასცინის მათ განუვითარებლობას და მათის ცხოვრების სიფუქსავატეს. ილია კითხულობს: „კაცია-ადამიანი?“-ო, ერთის სიტყვით, გოგოლის თხზულებაში სიბრალული და სიყვარულია, თუმცა ღიმილიც მოსდის კაცს, ჭავჭავაძეს-კი ზიზღის მეტი არა ემეტება რა ლუარსაბისათვის და განა ამ ორ სხვა და სხვა გრძნობიდან ერთი და იგივე ნაყოფი გამოვიდოდა? რასაკვირველია, არა. რა ვუყოთ, რომ საგანი ერთისა და იმავე ცხოვრებიდან არის ამოღებული. ორივე მწერალი ორიგინალურად, თავისებურად უყურებს გმირებს. ეს სხვა და სხვაობა იმითი აიხსნება, რომ გოგოლის გმირებისთანა ხალხი ცოტა-ღა მოიპოვებოდა ავტორის დროს რუსეთში; ლუარსაბისთანა გმირებით კი სავსე იყო მაშინდელი საქართველო. აქედან წარმოსდგება სიმკაცრე ლუარსაბის გმობისა ჭავჭავაძის მხრივ.

„გლეხთა განთავისუფლების სცენებ“-ში ჭავჭავაძე ახასიათებს აზნაურის ქვრივს, როგორც ამისთანა და ჯემულს ადამიანს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ეს ქვრივი უფრო სავსეა მხნეობით და არაფრის წინაშე არ იხევს. გლეხებს ხომ სცემს და სცემს, მომრიგებელ შუამავალთანაც უნდა თავისი გაიყვანოს. ეს სცენები საუცხოვოა, ცოცხლად დაწერილი და ცხოვრების გულიდან ამოღებული. ამ სცენებში გამოყვანილი გლეხი გლახა ჰრიაშვილი, რომელიც ათასჯერ იწყებს ლაპარაკს და კი ვერ ათავებს, ნაყოფია ბატონ-ყმურ ურთიერთობისა. მას ადამიანის სახე აღარა აქვს, იგი სრულიად გამოტვინებულია მებატონისაგან. მართალია, აქვე ვხედავთ მებატონისა და გლეხის ძმურს ცხოვრებას, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენა იყო.

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, უთანასწორობა არ მოისპო, ორ-წოდების შუა ხიდი ჩატეხილი დარჩა, და ამ უფსკრულის დახასიათებას ჭავჭავაძემ მოანდომა თავისი „ოთარაანთ ქვრივი“. მაგრამ ამასთან ავტორმა ეს მოთხრობა დაამყარა საზოგადო ფსიხოლოგიურ, საკაცობრიო საფუძველზე, ამიტომ მას განვიხილავთ მაშინ, როცა ლაპარაკი გვექნება მგოსნის ამნაირ თხზულებაზე.

ამგვარად, უმთავრესი ნაკლი და ბოროტება მაშინდელ ცხოვრებისა ბატონყმობა იყო და ჩვენი მგოსანიც თავის თხზულებებში უპირველესად ამ ნაკლს შეეხო.

მეორე ნაკლი—არ იყო იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრება, არა სცემდა საზოგადოებრივი მაჯა, არ მოიპოვებოდა არც ერთი დაწესებულება, არც ერთი წრე, რომელსაც ხალხისა და ქვეყნისათვის ეზრუნოს. ვერაფერში და ვერსად ვერ შეამჩნევდით საზოგადოებრივ ალღოს ნიშან-წყალს. პირიქით—ყველა თავის ქერქში იყო შემძვრალი, ყველა მხოლოდ თავის კუჭისთვის ზრუნავდა. ქვემძრომობა, სილაჩრე, გათახსირება, სულიერი სიცარიელე—აი სურათი მაშინდელ საზოგადოებისა. ამას ჰკიცხავდა მგოსანი თავის მშვენიერ ლექსში.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი!
ჯერ, როგორც მოგეხსენებათ,
მრავალჯერ დავამთქნარევით.
მერე ვუთხარ:—პაპა ჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?
მაგალითებრ, მაშინ, როცა
მიიწურა ქართლის ბედი,
როცა მოგვიკვდა ერეკლე,
ის ჩვენის ქვეყნის იმედი,—
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შენი მტერი!... პირღიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.
მერე, როს მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვის-ტომნი აუჯანყდნენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულმოდგენით
ვწეწდით და ვიწეწებოდით.
მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გავუჭირეთ
და ქვეყანას ერთგულობა
ჩვენი ურცხვად დავუძვირეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.
მერე, როცა საწყალ მეფემ
დაგვიყენა ლეკნი მცველად,
თვის ქონება სრულად დასდვა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწექით და ვნებივრობდით.
მერე, როცა მოკვდა მეფე,
აიშალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შურითა
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვღალატობდით.
მერე, როცა დაქსაქსულნი
შავმა ბედმა ხელთა გვიგდო
და ჩვენი სვე ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!
მერე, როცა გაგვიჭირდა
. . . . . . . .
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვებოდით.
მერე, როცა ამ წვა-დაგვაჴ
დღენი ჩვენი გაგვიწბილა,
ტანჯვა ვეღარ ავიტანეთ,
სინიდისმაც გაგვამხილა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.
მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს.
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერ-მიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.
მერე, როცა მაგ ბეზღობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მოვყევით და სიხარულით
ყოველ დღე ვბედოვლათობდით,
მერე, როს ბედოვლათობდით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვქონდა, სულ გავფლანგეთ,
არა რა შემოგვდიოდა, —
რა გავაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ერთმანეთს უსინიდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.
მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით.
მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა გაღატაკდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მაღლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.
მერე, როცა ის ყმებიცა
დროთა ბუნვით ჩამოგვცერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაგას, შვილო, ნულარ მკითხავ...
ვტიროდით ვიხოცებოდით!...
მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დაგვიბრუნდა
და ყმებისა მოშორებით

...დგენილება. 15 სექტემბერს მოხდა შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სხდომა. გამგეობამ მოისმინა მოხსენება მდივნის ს. ფირცხალავასი. მოხსენება შეეხება ჭავჭავაძის სახსოვრად დასაარსებელ დაწესებულებათა შექმნას. მომხსენებლის აზრით, უპირველესად ყოვლისა უნდა დაარსდეს ძლიერი ფონდი. ამ ფონდის წყალობით შეიძლება ...ნელია სკოლებისა, სამკითხველოების, მუზეუმისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შექმნა. ფონდის გასაძლიერებლად საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში უნდა გაიმართოს სალიტერატურო საღამოები განსვენებულის ნაწარმოებიდან. ამასთან „წერა-კითხვის საზოგადოება" უნდა შეუდგეს ეხლავე სახალხო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემას ცალკე წიგნებად. გამგეობამ ...გინა, დაევალოს მდივანს ს. ფირცხალავას და წევრს დ. კარიჭაშვილს განსვენებულის ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თავმოყრა და გამოსაცემად დამზადება. ...გინა აგრეთვე გაიმართოს 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, სალიტერატურო საღამო ან, თუ ...ლება, დილა მგოსნის ნაწარმოებიდან. სალიტერატურო საღამოს მოწყობა 27 ოქტომბრისათვის მიენდო მდივანს. დაევალა აგრეთვე მდივანს, თავი მოუყაროს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ნივთებს, რომელსაც საისტორიო მნიშვნელობა აქვს, რომ შემდეგ მუზეუმში იქნეს შენახული. პოეტის ბიბლიოთეკა, მემკვიდრის ნებართვით, გადატანილი იქნება წ. კ. საზოგადოებაში. ამავე სხდომაზედ გამგეობამ მიიღო საქართველოს სხვა და სხვა კუთხის დელეგატთა დადგენილება ...ილიას ფონდის დაარსების შესახებ.

**სიძვირე ქართლში.** ქართლში საშინლად გაძვირებულა ხორბალი. კოდი ...რი 7 მანეთამდე ადის თურმე. ტფილისის მაზრაში ხომ ეხლავე შემოაკლდათ ...ები. ზემო ქართლში მთელი იმედი ...ნდის მოსავალზე იყო და, როგორც ატყობინებენ, ეს იმედიც გაუცრუვდათ თურმე.

**შეპყრობა.** 15 სექტემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს ქართლელი ნიკო მუჩაიძე, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომ მას მონაწილეობა მიეღოს ...ლუხანოვზე თავდასხმაში. მუჩაიძე ამ... საქმეებისათვის სამართალში ყოფილა მიცემული, მაგრამ 1000 მანეთის შეტანის შემდეგ განუთავისუფლებიათ. ამავე დღეს ტფ. პოლიციამ დაიჭირა კონსტანტინე ომიაძე, რომელსაც მუქარის ბარათით 500 მან. მოუთხოვნია „ორიანტის" სასტუმროს მზარეულის დომენტი გიორგობიანისათვის. პოლიციამ 15 სექტემბერს დააპატიმრა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები გლეხი ანტონ კაბურია, რომელიც მუქარით სხვა და სხვა პირთ ფულს სტყუებდა თურმე.

**ქართული ენა ტფ. სემინარიაში.** სინოდს შეუტყობინებია სასულიერო სემინარიისთვის, განიხილეთ და შეგვატყობინეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელი და სასურველია ტფ. სემინარიაში სარწმუნოებრივ საგნების სწავლა პირველ კლასიდანვე ქართულ ენაზეო.

**„კახეთის" საზოგადოება.** „კახეთის" საზოგადოების გამგეობასა და მუშებს შორის საქმე, ცენტრალურ ბიუროს მეცადინეობით, მორიგებით გათავდა. მუშებმა მიიღეს 8 თვის ჯამაგირი, 9000 მანეთამდე. კანტორის მუშები თავიანთ ადგილზე დაბრუნდნენ. ამ რიგად ბოიკოტი მოიხსნა და საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

**ქალის მოკვლა.** 15 სექტემბერს ობვოდნი ქუჩის შესახვევში თავის ბინაზე ოჰანეზოვის სახლში ვიღაცას ღამე ყელი გამოუჭრია 17 წლის ქალის ტაკუია ოსიპოვისათვის.

**სასიკვდილოდ დაჭრა.** შამხორის ქუჩაზე მცხოვრებს საქულ ხოსროევს სისაკ სიმონოვმა სამჯერ რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა. პოლიციის გამოძიებით, სიმონოვს 14 სექტემბერს მუქარით ფული მოუთხოვნია ხოსროევისთვის და რადგან მას უარი უთქვამს, ჯავრი ამნაირათ ამოუყრია.

**თავდასხმა.** 15 სექტემბერს, საღამოს 10 საათზედ, მათე სოსინის სადგბავ წამლების ქარხანაში აბასთუმნისა და ელისაბედის ქუჩების შესართავთან 8 შეიარაღებული კაცი შევარდა. ერთს ხელში ყუმბარა ეჭირა. უცნობებმა მოითხოვეს ფული. მძარცველებმა კასიდან ამოიღეს 120 მან. იქვე მყოფი სამადუროვსა და ხუციშვილს წართვეს 45 მან. და თავისუფლად მიიმალნენ.

**პროფეს. კავშირი.** 16 სექტემბერს, ხეჩო ხოჯაევის თავმჯდომარეობით მოხდა ტფ. მონარდე დურგალთა პროფესიონალურ საზოგადოების კრება. დასაწყებისათანავე, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. შემდეგ კრება შეუდგა ახლად გამოცემულ და დამტკიცებულ წესდების გაცნობას. როგორც მსგავს კავშირებს, დურგალთა საზოგადოებასაც აზრადა აქვს მოუპოვოს კარგი პირობები შრომისა, გახსნას დამხმარე დაწესებულებანი, ნივთიერად დაეხმაროს წევრებს და სხვა. წევრს პირველ ხანს შეაქვს 1 მან. და შემდეგ ყოველ თვეობით 2% ნამუშევარისა. კრებამ წესდება უცვლელად მიიღო. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ შაქრო კოკელოვი, სანდრო კაპანაძე, დათა დავიდოვი, მიხეილ ქაბუკიანი, გოლა მირიანაშვილი, გიგო ჩუბინიძე, დიმიტრი კახნიაშვილი, ვანო შავერდაშვილი და სანდრო გელაძე. კან დიდატებად არჩეულ იქმნენ პეტრე ზულიაშვილი, მიხეილ ნოზაძე, ერეკლე რაზმაძე, ვასო ჩაჩანიძე და კონა გოდერძიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქნა 5 კაცი და 5 მათი კანდიდატი.

**მკვლელობა.** 15 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, ოქრომჭედლების ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა რევოლვერი დაადაახალეს განჯის მცხოვრებს სერგო მაკაროვს და იქვე მოჰკლეს. მიზეზი მკვლელობისა არ არის გამორკვეული.

**დრამ. საზოგადოების კრება.** კვირას, 16 სექტემბერს, ვ. სულხანიშვილის თავმჯდომარეობით ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაამთავრა არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიისა. კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. გამგეობის წევრად დამატებით არჩეულ იქმნა ალ. პ. სარაჯიშვილი. კანდიდატებად ექიმი კილოსანიძე, ივ. გომართელი და გ. ვ. მაჩაბელი. სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. დ. გაბაშვილი, თავ. ფავლენიშვილი და დ. ჯმუხაძე. ახალს გამგეობას კრებამ დაავალა იანვრამდე შეიმუშაოს და წარმოუდგინოს კრებას დასამტკიცებლად პროექტი ხარჯთ-აღრიცხვისა.

**ლექციები უმაღლეს კურსებზე.** ამ კვირია უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად ლექციებს წაიკითხავენ ახალი ლექტორები: გ. ა. ჯავახიშვილი (ერთი ლექცია წუხელ წაიკითხა) 20 ენკენისთვეს—ანტროპოლოგიას; ი. აბულაძე,—19 ენკენ. ქართულ ენას; ე. ს. თაყაიშვილი—17 ენკენ.—ქართულ ისტორიას; ს. ს. მალხაზიანი—18 ენკენ. სომხურ მწერლობის ისტორიას. ლექციებს ყველანი ქართულად კითხულობენ.

**გვირგვინი.** იმ საზოგადოებათა და დაწესებულებათა გარდა, რომელნიც უკვე გვქონდა მოხსენებული და რომელმაც განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ცხედარი გვირგვინით შეამკო მხატვართა და ხელოსანთა საზოგადოებამ მოუძღვნა გვირგვინი ამ წარწერით: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილსა შავი ზეწარი გადაეფარა". „ერთს ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მედაშენ წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ".

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, სამსახურს გარეშე მყოფ კაპიტანს კალატოზოვს 15 სექტემბერს სადამოთი შეუვარდა 8 შეიარაღებული კაცი. მძარცველებმა 653 მან. და 92 კაპ. სხდორადი ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

✦ 16 სექტემბერს რაზიეუნი ქუჩაზე ბერიევის დუქანში მივიდა ერთი უცნობი და ნოქარს მუქარით მოსთხოვა ფული. როცა უარი მიიღო, იგი კარში გამოვიდა და კარებს სამჯერ რევოლვერი ესროლა. უცნობს გამოუდგნენ და დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა მიხეილ ხუციევი.

✦ პოლიციელებმა 16 სექტემბერს დააპატიმრეს ვასილ პეშინი, რომელსაც შაფრანოვის მაღაზიის გაძარცვა ჰბრალდება.

✦ რკინის გზის სადგურ რიონზე ჟანდარმებს 16 სექტემბერს დაუპატიმრებიათ მირიან კანიშვილი, რომელიც რუსეთში იყო გადასახლებული და ამ დღეებში უკან დაბრუნებულა.

✦ ყორღანოვის ქუჩაზე 15 სექტემბერს საღამოთი ლეონიდ ფრენკელს ქურდებმა 140 მან. ნივთები მოჰპარეს.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში ვორონცოვის ქუჩაზე ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა აჯი-გიულ მამედ უგურლიევი. დაჭრილმა ეჭვი გამოაცხადა ძერბალაი აზპერ ოღლითზე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ 15 სექტემბერს ოლგას ქუჩაზე დიმიტრი გოგნიევის ბინიდან ქურდებს წაუღიათ ძვირფასი ხალიჩა. ეჭვი მიიტანეს მეეზოვე მოსამლოშვილსა და ხრანინზე, რომელნიც დააპატიმრეს.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ვაჭარს ვერა ნახავთ ჩვენს ქალაქში, კაცს ისე ვერ შეხვდებით, რომ ყველა ილია ჭავჭავაძის ვერაგულად და ველურად მოკვლაზე არ ლაპარაკობდეს. ყველა დაინტერესებულია ილიას მკვლელობით და ისინი, ვისაც აქამდის არ უგემნია ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, სიდიადე, ეხლა ესწრაფიან წაიკითხონ. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი წიგნის მაღაზიების დაუდევრობა—არც ერთ მათგანს ამ ჟამად არა აქვს ილია ჭავჭავაძის თხზულებანი გასასყიდად და მსურველთა ... წიგნების მყიდველებისა ... ლებელი რჩება. ნუ თუ წიგნის მაღაზიების პატრონებს არ შეეძლოთ წინდაწინვე გამოეწერათ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა დაინტერესებულია ამ კაცით და იმის ნაწერებით?

✦ შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრებამ, თანახმად საბჭოს წინადადებისა, საჭიროდ სცნო აღეძრა შუამდგომლობა ჭიათურის შტოს გაგანიერების შესახებ. თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა. როგორც საბჭოს პეტერბურგელი აგენტი იუწყება, მრეწველთა შუამდგომლობას სამინისტრომ კარგის თვალით შეჰხედა და მოსალოდნელია, რომ ჭიათურის შტო ფართო ლიანდაგიანად გადაკეთდება.

✦ ოდესღაც ქუთაისში არსებობდა საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომლის საქმეებმა იქამდისაც კი მიაღწია, რომ საკუთარი ადგილი შეიძინა. როგორც სხვა ჩვენ საზოგადო დაწესებულებას, საქველ-მოქმედო საზოგადოების მოქმედების ხანამ მალე გაიარა, და მესამე წელიწადია, რაც იგი სადათას ძილით არის შეპყრობილი. აღარავინ იცის, ობლად დარჩენილ მდივნის გარდა, არსებობს თუ არა საზოგადოება. საზოგადოების ასეთ მდგომარეობით ვიღაცას უსარგებლია, და მის ადგილზე, ქალთა უფასო სასწავლებლის მეზობლად, სახლიც კი ჩაუდგამს. სასურველია გავიგოთ ვისმე ნებართვით მოხდა ეს, თუ თვითნებობის შედეგია? უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება, თორემ გაჩნდება გაუთავებელი დავა.

✦ ამ ცოტა ხანში ქუთაისში პალატის სესია წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩიეს ზუგდიდის რევოლიუციის საქმე. ბრალდებულთა რიცხვი 20-მდეა, ხოლო მოწმეთა 68-მდე ადის, ამიტომ საქმეს რამდენსამე დღეს გაგრძელდება. მოწმეთა შორის ბევრი აღარ არის კავკასიაში და შესაძლებელია უმრავლესობა მოწმეებისა არ გამოცხადდეს. ბრალდებულთა უმრავლესობა ორ წელიწადზე მეტია, რაც ციხეში არიან გამომწყვდეულნი.

✦ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, თავა-...

---

გულს ტკივილი დაგვიყუჩდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რაღაც ბანკი მოვიგონეთ
და მასზედ ვლაზღანდარობდით.

მერე, როს საშვილი-შვილოს
ბანკს უმუხთლა თქვენში ერთმა;
ჩემთვის ბანკი რა ჭკვაა,
არ მომცაო შვილი ღმერთმა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— „Наполео"-ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.

მერე, როცა....—კიდევ როცა!...
აქ გამიწყრა პაპა ჩვენი:
— შემაწუხე ამდენ კითხვით,
„პოყოლუსტა", დამეხსენი.
— რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?..
მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით.

...ნადაც უკვე აღვნიშნეთ, რომ მგოსანს ბევრს ეცადა დამეგობრებოდა ვისაც ...აწვდიდა ყველას ხელს, მაგრამ რა საკვირდა მაშინდელ საზოგადოებას, ...და არა სანუგეშო დასკვნამდე. მგოსანი ამბობს, რომ ამ „მოწინავე" საზოგადოებას, რომელსაც მაშინ თითქოს ...ლ თავად-აზნაურობა შეადგენდა, არც ...ლობელი წარსული ჰქონდა დიდებული. იგი, ერთის მხრით, იმას სცდილობდა, რომ, როგორც ზემოდა ვნახეთ, „კაცია ადამიანი", „გლახის ნაამბობი", „...ცენები მიროვოი პოსრედნიკთან", „კაცო ყაჩაღი" და სხვები), რაც შეიძლება ...ტი გამოეწოვა ყმებისა ან ნაყმევებისაგან, მეორეს მხრით, მთავრობის მუდარებით იყო—არა ეს გვიწყალობე, არა ისა. პირველი „მოღვაწეობა" ამ საზოგადოებისა უკვე ვცანით, რაც შეეხება მეორეს, ესე იგი იმას, თუ რაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება მაშინდელ „მოწინავე" საზოგადოებისა, ეს მოკლედ, მაგრამ საოცრად მოსწრეულად და მკაფიოდ დაასურათა მგოსანმა ერთს თავის ლექსში: „რა ვაკეთეთ, ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა". ეს ...სი მართლაც მთელი ისტორიაა ჩვენ... თავად-აზნაურობის ცხოვრებისა მე-19 საუკუნეში. ეს ლექსი ყველამ იცის, მაგრამ იგი იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეგვიძლიან აქაც არ მოვიყვანოთ:

ერთხელ მე და პაპა ჩემი
ერთს ადგილს შევიყარენით;

საზოგადოებრივ ალღოს უქონლობა წარსულში და ეხლაც, პირად ინტერესებით და სარგებლობით ხელმძღვანელობა ყოველგან და ყოველთვის, რასაკვირველია, არა სანუგეშო სიმპტომებს წარმოადგენდა დღევანდელ და მომავალ მდგომარეობისას. აკი ამიტომ უყურებდა მგოსანი აწმოს და მომავალს პესიმისტურათ, მაგრამ მგოსანს არა სჯეროდა, რომ იმის სამშობლოს, რომელსაც კარგი წარსული ჰქონია, მომავალიც ჰქონოდა კარგი. ამიტომ მან, რაკი აწმყოში ვერა ნახა სანუგეშო, წარსულში დაუწყო ძებნა გულის გასახარებელ ამბებს. იგი ეძებდა წარსულში მარტო კარგს მხარეებს, ახასიათებდა და ადარებდა დღევანდელ მდგომარეობას. ამნაირად, მისი ნაწარმოები, სამშობლოს წარსულიდან ამოღებული, გარდა აღწერილობით ხასიათისა, წარმოადგენს ცდას—მათის საშუალებით მაგალითი მისცეს დღევანდელ საზოგადოებას. მგოსანი გვეუბნება, რომ ძველ წარსულში ყოფილა მაგალითები თავ-დადებისა, სულგრძელობისა, სამშობლოსთვის ზრუნვისაო. ეხლა (იმ დრო) რაღას ვხედავთ? იმას, რაც ვნახეთ ლექსში „ბედნიერი ერი". რომ ასეთის ორნაირის გრძნობით და აზრით მიჰმართავს მგოსანი თავის წარსულს, ეს ნათლადა სჩანს „დიმიტრი თავდადებულის" დასაწყისიდან. ბრმა მეფანტურე თვითონ აცხადებს, წარსულს იმიტომ გიამბობთ, რომ, ჯერ ერთი, იგი გულ-გასათბობია, მეორეც, რომ მიჰბაძოთ ძველებს თავდადებასა და მამულისათვის თავ-განწირვაშიო.

ეხლა რა ვართ? საწყალ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ:
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
ის ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით..,
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.
წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქვამია,
დღეს ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათებდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულ-და-გულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

პოემაში დახატულია თავგანწირვა დიმიტრისა. აი ამნაირის გმირულის მაგალითებით სურს მგოსანს აღზარდოს საზოგადოება. რასაკვირველია, ყველა ეს აღსავსეა იდეალისტიურის კილოთი და მიმართულებით. იშვიათია ასეთი მაგალითი ისტორიაში, მაგრამ წარსულში მაინც ყოფილა. მგოსანმა გააფაქიზა და აღამაღლა ეს მოვლენა თვის იდეალურ თვალთსაზომით.

ამნაირისავე ხასიათისაა მგოსნის სურათი „დედა და შვილი". იშვიათია ისეთი ღრმა დახასიათება და დასაბუთება სამშობლოს სიყვარულისა, ახსნა ამ სიყვარულისა საზოგადო კაცობრიულ მოტივებით, როგორიც მოგვცა ჭავჭავაძემ ამ სურათში ავადმყოფ დედის გულში იბრძვის ორი გრძნობა — სიყვარული ერთად ერთის შვილის მიმართ და მოვალეობა მამულის წინაშე. მეორეს მხრით შვილის გულში მთელი ცეცხლი ტრიალებს, რადგან დედა უკვდება და მოვალეობა-კი სხვაგან იწვევს. სანამ არ მოახლოვებულა წუთი განშორებისა, სანამ დედა გულ დამშვიდებით არჩევს თავის გრძნობებს, მანამ მისთვის აუცილებელია შვილის ომში გაგზავნა:

ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი ჰმოქმედობს,
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთ ფიქრსა ჰფიქრობს—
და ეს ფიქრია—ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!.
დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობათა წინ წარუძღვება!..
ვრთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშ-მცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლე და სიყვარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისდა მშთენია,
მაგრამ მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენ ია"...

რამდენადაც უფრო ღრმად ადარებს ერთმანეთს ამ ორს გრძნობას, იმდენად უფრო სჭარბობს თავისუფლების მიმართ სიყვარული, და ჩვენ ვხედავთ აქ მთელს ჰიმნს თავისუფლებისას:

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცი ბუნებისა
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო,
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე სრული,
პირველ კაცთათვის უშენოთა არარა იყო,
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა
ეგრედ ნაშოვნი რად წავგვართვეს მოსავთა შენთა?
რაღად ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი,
რად არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?

ამ სიტყვებში გამართლება და დასაბუთებაა სამშობლოს სიყვარულისა კოსმოპოლიტიურის თვალ საზრისით. ამით ნათლად ხასიათდება, თუ რამოდენად განსხვავდება ჭავჭავაძის მამულის სიყვარული ჩვეულებრივ პროვინციალურ პატრიოტობისაგან. აშკარაა, რომ ეს გრძნობა, თუმცა გაიდეალებულია, მაგრამ მაინც საღი და საქები თვისებაა ადამიანში. დედას ასე ღრმად აქვს გამჯდარი მამულის სიყვარული მაგრამ როცა ახლოვდება განშორების დრო, იგი ყოყმანობს და შვილს სთხოვს დარჩეს მასთან. შვილიც შედრკება, დედის სიყვარულმა თითქოს ძლევა დაიწყოო, მაგრამ აი გაისმა ომის სიმღერა და დედა ივიწყებს ყველაფერს და სთმობს შვილს.

ფსიხოლოგიურათ რომ გავსინჯოთ, ამნაირ სურათებს წარსულიდან ის მნიშვნელობა აქვთ, რომ 1. ისინი ასაბუთებენ, აღრმავებენ იმ გრძნობას, რომელიც მგოსანში შთანერგილი იყო პატარაობიდანვე, აძლევენ მას ზნეობრივს გამართლების და საზოგადო კაცობრიულს ხასიათს; 2. მათის შემწეობით, როგორც კარგის მაგალითებით, შესაძლებელია სხვებშიაც ამნაირადვე გაფაქიზდეს ეს გრძნობა. ეს არის მიზეზი, რომ წარსულიდან მგოსანს ამოურჩევია მხოლოდ კარგი მხარეები, თორე განა ამავე წარსულში არ არის ცუდი მხარეები, ქიშპობა და მტრობა, ან განა ეს დამალული იყო მგოსნისათვის? აკი ზემოდაც ავღნიშნეთ, რომ დაახასიათა მგოსანმა თავად-აზნაურთა ღვაწლი მეფის ერეკლესა და მამულის წინაშე, როცა სწყდებოდა საქართველოს ბედი, განა ამაზედ მეტად გესლიანად შეიძლებოდა ამ წარსულის (თუმცა ახლოსი) დაგმობა?

რით განსხვავდება ამ მხრივ ჭავჭავაძე სხვა მგოსნებისაგან? ჩვენის აზრით, მამულიშვილურ გრძნობის ღრმა დასაბუთებით და ფსიხოლოგიურ ანალიზით. სხვა მწერალთათვის ეს გრძნობა თითქოს ციდან ჩამოფრენილია, მარტო იმის აღწერილობით კმაყოფილდებიან. შეგნება ამ მხრივ ილიასი და სხვა ჩვენ მწერალთა სხვადასხვა ხასიათისაა.

(შემდეგი იქნება)

დი მინგრელსკი ცდილობს, რომ თავის მამული საგლეხო ბანკს მიჰყიდოს. ჯერ სცადა კერძო პირთათვის მიეყიდა მამული, მერე გლეხებთან მოინდომა მორიგება და ახლა საგლეხო ბანკისთვის მიუმართავს.

✦ ამ [illegible] პეტერბურგს, რომ პოლიციის ძალ-დატანებით საზოგადოებას [illegible] პოლიტიკური პარტიების მეთაური, რიცხვით 14 კაც.

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** გუშინწინ, 16 სექტემბერს, სახაზინო თეატრში დაიწყო წარმოდგენები რუსთა [illegible] ამხანაგობისა. წარმოდგენილ ქონდათ ოპერა [illegible] [illegible]

[illegible]

## დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

რუსეთში.

15 სექტემბერი.

**ლოძი.** [illegible]

**სევასტოპოლი.** [illegible]

16 სექტემბერი.

**ოდესა.** 14 სექტემბერს ქალაქის [illegible]

**ვარშავა.** [illegible] ხვეელთაგანი დააპატიმრეს.

**ომსკი.** შეიპყრეს 11 კაცისაგან შემდგარი მმარცავთა ბრბო, რომელიც ტიუკალანსკისაკენ მიემართებოდა. შეპყრობის დროს დაიჭრა ერთი პოლიციელი მმარცველთაგან ერთი მძიმედ დაიჭრა, მეორე მსუბუქად

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით ერთის წლით კიდევ განაგრძეს გაძლიერებულ დაცვის წესები ქალაქ ხერსონსა და ხერსონის მაზრაში, ყაზანსა და იმის მიდამოებში და ურალსკში.

რადგან ორ კლასიან სამკ. სამრევლო სკოლებში პროგრამა გააფართოვეს, მიწად მოწესრიგების მთავარმა სამართველომ შესაძლებლად სცნო ორ კლასიან სამრევლო სკოლებში კურს დამთავრებულნი მიიღონ ხოლმე დაბალ სატყეო სკოლებში.

**ხიმრანი.** სოფ, კომაროვკაში ვიღაც უცნობებმა თავის მამულში მოჰკლეს მემამულე ნასაკინი და მძიმედ დასჭრეს მისი მოურავი შიშმანი.

**ლოძი.** [illegible]

**ეკატერინოსლავი.** [illegible]

**კიევი.** [illegible]

**ეკატერინოდარი.** [illegible]

**სარაპული.** [illegible]

**ვარშავა.** [illegible]

**პეტერბურგი.** [illegible]

**ოდესა.** [illegible] თვით დააპატიმრა «მოლოდაია ვოლია»-ს პარტიის 17 წევრი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრო ადგენს ოთხკლასიან საშუალო სასწავლებლის გეგმას. ამ სასწავლებელმა უნდა მოამზადოს სამოქალაქო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი უნივერსიტეტებში შესასვლელად. კანონ-პროექტს აპტიპის სასწავლებელთა შესახებ სახ. სათათბიროს წარუდგენენ. სამინისტროს აზრადა აქვს სესიის გახსნისათანავე მდგომარე წელს გახსნას ბევრი რეალური სასწავლებელი. მარტო ვილნოს ოლქში ხსნიან 600-მდე სასწავლებელს.

**ეკატერინოდარი.** 15 სექტემბერს სალამოთი იგნატოვის სახლის ეზოში ორმა მმარცვავმა ფული წაართვა მაღაზიიდან დაბრუნებულ კასირს. გაქცეულს მცარცვავებს წინ შეეხვდა უბნის ზედამხედველი, რომელმაც შეპყრობა მოინდომა, მაგრამ მათ ესროლეს და მოჰკლეს.

**სევასტოპოლი.** 15 სექტემბერს დილით სამი უცნობი, აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი, შევიდა ბრესტსკი პოლკის ერთ როტის სამორიგეო ოთახში. უცნობთ განუცხადეს ჯარის კაცებს, რომ აფიცრები დაპატიმრებულნი არიან, როტის უფროსი მოკლულია, გამოდით და აფიცრებს უშველეთო, როცა აფიცრებმა ეს ამბავი შეიტყვეს, საჩქაროდ ეზოში გამოვარდნენ, მაგრა უცნობთ სროლა ასტეხეს. დასჭრეს ბატალიონის უფროსი პოლიტიევი და როტის უფროსი ნოვიკოვი. ბოროტმოქმედნი კარებს ეცნენ და მიიმალნენ. თუმცა გამოედევნენ, მაგრამ ამაოდ, ეჭვი რამდენსამე კაცზე მიიტანეს და დააპატიმრეს.

17 სექტემბერი.

**კამენეც-პოდოლსკი.** ბალტის მაზრის ს. გეტმანოვკაში დაიწყო აგრარული მოძრაობა. მოვიდა მაზრის უფროსი ასი კაზაკით.

**სარაპული.** ვოტკინის ქარხანაში ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს პოლიციელი.

**ვარშავა.** ქურავლინის ქუჩაზე ბრბო შეიკრიბა. თავდასხმას აპირებდნენ და მეთაური რევოლვერებს ურიგებდა. უცაბედად ერთი რევოლვერი გაუვარდა და ერთი ბოროტ-მოქმედი მოჰკლა, სხვები გაიფანტნენ. ორი კაცი შეიპყრეს.

სამხედრო სასამართლომ გაარჩია 30 კაცის საქმე და ყველას სხვა და სხვა ვადით კატორღა მიუსაჯა. იმათ პოლონეთის მებრძოლ რაზმ „პროლეტარიატში" მონაწილეობა ჰბრალდებათ.

**კელცი.** 15 სექტემბერს არყის დუქნის ფულის ამკრეფის თავდასხმის დროს მოჰკლეს სალდათი და ფულის ამკრეფი, ხოლო მეეტლე და მეორე სალდათი ცოცხალია. ფული უკლებლადაა.

### არჩევნები

**პეტერბურგი.** 15 სექტემბრისთვის წვრილ მემამულეთა მიერ არჩეულთ მიემატა 422 რწმუნებული: 1 ოქტომბრისტი, 15 კადეტი, 4 ს.-დემოკრატი, 1 მშვიდობიან განხლების პარტიისა, 139 ნაროდოვცი, 1 თავის თავს მონარქისტად მაღიარებელი, 44 მემარჯვენე, 4 ზომიერი, 8 მემარცხენე, 162 უპარტიო, 43 უცნობი.

მუშების მიერ არჩეულს მიემატა 55 რწმუნებული: 28 ს.-დემოკრატია, 1 სოც-რევოლიუციონერი, 4 მემარჯვენე, 2 ზომიერი, 1 მონარქისტი, 10 უპარტიო, 4 უკიდურესი მემარცხენე, 5 უცნობი.

გლეხების მიერ არჩეულს მიემატა 883 რწმუნებული: 3 „რუსთა კავშირის" წევრი, 2 ოქტომბრისტი, 19 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 20 კადეტი, 5 ს.-დემოკრატი, 1 ლიტველი ნაციონალისტი, 8 ლატიშელი რეფორმისტი, 1 განაპირა რუსთა კავშირის" წევრი, 135 მონარქისტი, 178 მემარჯვენე, 2 ზომიერი, 273 უპარტიო, 13 მემარცხენეთა თანამოაზრე, 2 უკიდურესი მემარცხენე, 173 უცნობი.

16 სექტემბრისათვის გლეხებს მიემატა 2439 რწმუნებული; „რუსთა კავშირის" წევრი 19, წეს-რიგის პარტიისა 1, ოქტომბრისტი 20, კადეტი 14, ს.-დემოკრატი 7, ს.-რევოლიუციონერი 7, შრომის ჯგუფისა 4, მათი თანამოაზრე 4. ლატიშთა რეფორმისტი 33, ნაციონალისტი 60, ნაროდოვცი 34, პოლონეთის კლერიკალურს პარტიისა 1, უცნობი 264, უპარტიო 951. მონარქისტად თავის თავის მაღიარებელი 95, მემარჯვენე 538, ზომიერი პროგრესისტი 73, მემარცხენეთა თანამოაზრე 3, უკიდურესს მემარცხენეთა თანამოაზრე 5, მემარცხენე 194, ესტონელი პროგრესისტი 66.

წვრილ მემამულეთ მიემატა 2642 რწმუნებული: 52 „რუსთა კავშირის" წევრი, 1 რუსთა კრებისა, 36 ოქტომბრისტი, 66 კადეტი, 2 სოც.-დემოკრატი, 143 ნაციონალისტი, 277 ნაროდოვცი, 2 უგოდოვცი, 384 უცნობი, 661 თავის თავს უპარტიოდ მაღიარებელი, 620 მემარჯვენე, 338 მონარქისტების მომხრე, 53 ზომიერი, 12 კონსტიტუციონალისტი, 34 პროგრესისტი, 54 მემარცხენე, 7 მემარცხენეთა თანამოაზრე.

მუშებს მიემატა 220 რწმუნებული: 1 „რუსთა კავშირის" წევრი, 25 ს.-დემოკრატი, 1 შრომის ჯგუფისა: 46 ნაროდოვცი, 3 პოლონელ სოციალისტთა პარტიისა, 44 უცნობი, 95 თავის თავს უპარტიოდ მაღიარებელი, 10 უკიდურესი მემარჯვენე, 7 მემარჯვენე, 15 ზომიერი, 1 მონარქისტების მომხრე, 24 მემარცხენე, 18 სოციალისტი.

### უცხოეთში

15 სექტემბერი.

**შანხაი.** გიანგსის პროვინციის სამხრეთ ნაწილიდან იუწყებიან, ბოქსერების მოძრაობა დაიწყო. სოფ. იავოტლში მოჰკლეს რამდენიმე ახლად მონათლული ჩინელი ქრისტიანე. კამჩუფუში დასწვეს იტალიელი მღვდელი და მისიონერ ლაზარისტის სახლი. მისიონერები კიანგფუში გაიქცნენ და იქიდან შველა მოითხოვეს. მომხდარი ამბავი მოახსენდა საფრანგეთის ელჩს.

**მონრეალი.** აგდაში წავიდა პრეფექტი, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს დაზარალებულთა მშველელებს, რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია; ნახევარზე მეტი ჭირნახულისა განადგურებულია. წყალი კლებულობს. ასეთი წყალდიდობა 1858 წლის შემდეგ არ ყოფილა.

**ჰონკონგი.** იუჩაუში ცეცხლმა იმსხვერპლა რამდენიმე ასი სახლი, ბევრი ნავი და ხიდი, ამბობენ ცეცხლი ძალად არის წაკიდებულიო. მიზეზად ასახელებენ ლიკინსის (ბაჟი) მოსაგროვებელ ახალ სადგურების დაარსებას. კაიზოუში ვაჭრობა შესწყდა. ცეცხლი ზეთის საწყობს მოედო და საშინლად იფეთქა. ასამდე კაცი დაიღუპა. ქალაქში მარცვა გლეჯა დაიწყო. ინგლისის სამლხოს საკანონირო გემის „რობინი"-ს მეზღვაურები იცავენ. უცხოელები უზრუნველყოფილნი არიან.

17 სექტემბერი.

**უილინგი** (დასავლეთ ვირგინია). ბელერის მახლობლად ჩიკაგოდან მომავალი ჩქარი მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. 15 კაცი მოკვდა. ბევრი დაიჭრა.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.


## განცხადებანი

**დეკანოზის ნ. ყუბანეიშვილის** მიერ შედგენილ-გამოცემული წიგნები:

1. „პირველ დაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე". ამ წიგნში ოთხი განყოფილებაა: ა) ლოცვები, ბ) ძველი და ახალი აღთქმის სალვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმო და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი მიღებულია სასწავლო წიგნად (учебникомъ) იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებში; ხმარობენ ზოგ სამოქალაქო და სამინისტრო შკოლებში, ღირს 20 კაპ.
2. „გზა ცხოვრებისა", 30 კაპ.
3. „კაიაფას ვაჟიშვილი," 50 კ.
4. „მესამე ოქრო", 5 კაპ.
5. „ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი", ნათარგმნი პროფესორის ანატოლ ლერუა ბოლიეს წიგნიდან, 15 კ. ეს წიგნები იყიდება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების წ. მაღაზიაში; ქუთაისში ვ. ბეჟენეიშვილის წ. მაღაზიაში. გარეშე ადგილებიდან შეიძლება დაბარება ამ ადრესით: Кутаисъ. Протоіерею Нестору Кубанейшвили, ფოსტის ხარჯი მყიდველისაა. წიგნების მაღაზიებს და სოფლის მასწავლებლებს, ვინც ნაღდ ფულზე დაიბარებს არა ნაკლებ ათი მანეთის წიგნისა, დაეთმობა 20%. (3—კვ.—3)

**თელავში** გაუვრცელებიათ ხმა, ვითომც თელავის პირველ სამარხ კასსას მოეგოს ოცი-ათასი თუმანი. პატივი მაქვს ვაცნობო წევრებს, რომ ეს ამბავი ტყუილია, კასსას არავითარი მომგები ბილეთები არა აქვს, აქვს მხოლოდ უბრალო ხუთ თუმნიანი სერიები ასი თუმნისა.

(3—ფ.—3) **კასსის გამგე ა. ხალვაშოვი.**

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მდგომარე წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნა ორი ადგილი ი. ხ. აბესალომოვის სახელობაზე დაარსებულ სტიპენდიისა ტფილისის მკვიდრ მოსწავლეთათვის. ამ სტიპენდიების წესდების თანახმად, ერთი ადგილი ეკუთნის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მოსწავლე ქართველს, ხოლო მეორე—ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოსწავლე რუსს.

ვისაც სურს შეჰხვდეს ეს სტიპენდიები, უნდა თხოვნა წარმოადგინოს ტფ. ქალაქის გამგეობის მეორე განყოფილებაში არა უგვიანეს მდგომარე წლის 25 სექტემბრისა. უნდა წარმოადგინოს აგრეთვე დაბადების მოწმობის ასლი და ზემო დასახლებულ სასწავლებელთა მთავრობის მოწმობაც, რომ მთხოვნელი ნამდვილად იმ სასწავლებელში სწავლობს. უამ დოკუმენტებოდ თხოვნა არ განიხილება. (3—ნ.—3)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

თანამშრომელნი ორივე სქესისა

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—62)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

იყიდება

**ილია ჭავჭავაძის ბიუსტი**

ფასი 1 მანეთი

წმინდა მოგება გადადებულია ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის. (3—ნ.—2)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



**კალოშებისა**

და სხვა რეზინის საქონლისათვის

**უმაღლესი ჯილდო**

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის გაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

**ლეოპოლდ ნეიშელლერ**

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა'

**ტფილისში,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი**

იქვეა სხვებიც რუსეთის და საზღვარ-გარეთულ ტყავისა.

პეტერბურგის საქარხნო წარმოების ამხანაგობისა.

(100—62)


სტამბა „ივერია" (მ. დ. აკაშნიძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.